

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ერთი წლის იუბილეს
აღნიშნავს

8 სექტემბერს ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქუთაისში დაფუძნებული იქნა სააგენტო. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით 12 სექტემბერს ოქროს ჩარდახში გაიმართა შეხვედრა რომელზეც შეჯამებული იქნა ერთი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაო და ასევე მოხდა ახალი პროექტების "ინოვაციები ქალთა უფლებების დაცვის სფეროში", "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები" და "ახალგაზრდობა სწორი მიმართულება" პრეზენტაცია. შეხვედრას ესწრებოდა დაახლოებით 50 სტუმარი. ამავე შეხვედრაზე გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ქალაქის საკრებულოს, მერიას, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრსა და სააგენტოს შორის ზემოთაღნიშნული პროექტებში თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ. იმავე საღამოს ადგილობრივი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში შეგდა გადაცემა, რომელზეც დეტალურად იქნა წარმოდგენილი სააგენტოსა და ასოციაციის საქმიანობა და სამომავლო გეგმები.